პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

KOMUNISTI —

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 კვირა 26 ივნისი № 149 (16889) ფასი 2 კაპ. 1977

ერთი წლის წინათ საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ისტორიული დადგენილება. მასში ღრმად მეცნიერულად, დიალექტიკურად არის გაანალიზებული საქართველოს კომპარტიის ბრძოლა თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელებისათვის, განსაზღვრულია შემდგომი წინსვლის გზები. დადგენილების მიღების შემდეგ განვლილ დროში რესპუბლიკაში გაწეულია უდიდესი მუშაობა ცხოვრების ყველა მხარეში, რის შესახებაც მოგვითხრობს სარედაქციო სტატია — „მიღწეულის განმტკიცების გზით — ახალი გამარჯვებებისაკენ“.



მიღწეულის განმტკიცების გზით — ახალი გამარჯვებებისაკენ

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილების წლისთავის გამო

ᲐᲮᲐᲚᲘ შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ვითარებაში განიხილავენ საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმზე. ისინი ერთსულოვნად იწონებენ კონსტიტუციის პროექტს და აღნიშნავენ ჩვენი სოციალურ-ეკონომიკური მონაპოვრების სიდიადეს, საბჭოთა ქვეყნის ძირითადი კანონის უდიდეს მნიშვნელობას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს უზენაესი მიზნის — უკლასო კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

უდიდესი აღფრთოვანებითა და სიხარულით შეხვდნენ რესპუბლიკის მშრომელები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VI სესიის გადაწყვეტილებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ.

ახლახან გამართულმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმმა მთლიანად და სავსებით მოიწონა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებები, ის დებულებები და დასკვნები, რომლებიც მოცემულია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში.

პლენუმის მუშაობა მიმდინარეობდა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციისათვის, ყველა მშრომელისათვის ღირშესანიშნავი მოვლენის — „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილების წლისთავის წინ.

ჩვენი რესპუბლიკისათვის ამ ისტორიულ-პარტიულ დოკუმენტში, რომლის მიღების ინიციატორი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, რომელმაც განსაზღვრა დადგენილების ხასიათი, მიმართულება და სულისკვეთება, და ზოგად-პარტიული მნიშვნელობა მიანიჭა მას, არა მარტო ღრმად მეცნიერულად, დიალექტიკურად არის გაანალიზებული საქართველოს კომპარტიის ბრძოლა თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელებისათვის და აღნიშნულია რესპუბლიკის მშრომელთა წარმატებები მეცხრე და მეათე ხუთწლედების დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში, არამედ აგრეთვე უდიდესი უურადღება ეთმობა გადაუჭრელ პრობლემებს, მეცნიერულად არის განსაზღვრული შემდგომი წინსვლის გზები.

რა არის საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილების ისტორიული, წარუვალი მნიშვნელობა?

პირველი, ის, რომ მან ხაზგასმით აღნიშნა, მოიწონა და ამით დაამკვიდრა პოზიტიური პროცესები, რომლებიც მიმდინარეობს საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაში, მთელ რესპუბლიკაში პარტიის XXIV და XXV ყრილობათა გადაწყვეტილებების, აგრეთვე თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად, და რომლებმაც საშუალება მოგვცა თვისებრივად ახალ დონეზე „გვეყვანა პარტიული, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობა;

მეორე, მან რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის მთავარი ყურადღება მიაპყრო გადაუჭრელ პრობლემებს, გვიჩვენება მეტი წარმატებით გადაწყვიტოთ უფრო რთული და პასუხსაგები ამოცანები;

მესამე, სკკპ XXV ყრილობის შემდეგ მიღებულმა ამ დადგენილებამ დააკონკრეტა და ზედმიწევნით დაუზუსტა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მიერ იმ ამოცანების განხორციელების გზები, რომლებიც ყრილობამ განსაზღვრა.

ივნისის დადგენილება მესამეა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის იმ ისტორიულ გადაწყვეტილებებში, რომლებიც უკანასკნელი წლების განძინაზე მიღებულია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივით და მოქმედების მიზანდასახული, საბრძოლო პროგრამა გახდა ხანგრძლივი პერიოდისათვის, განსაზღვრა რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის წარმატება კომუნისტურ მშენებლობაში.

1976 წლის ივლისში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმმა განიხილა საკითხი — „თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება სკკპ XXV ყრილობის მიერ განსაზღვრული ამოცანების განხორციელებლად საქართველოს კომპარტიის საქმიანობის საბრძოლო პროგრამამ“ და ხაზგასმით აღნიშნა: ივნისის დადგენილება იმით განირჩევა, რომ იგი ყოვლისმომცველი, მასობრივი ხასიათისაა, ღრმად აანალიზებს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა მხარეს და იმ მეცნიერულად დამუშავებული ღონისძიებების კომპლექსია, რომელთა მიზანია სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკის ეკონომიკისადმი, მთელი ჩვენი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფა.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲡᲐᲪᲔᲥᲢᲘᲗ ივნისის დადგენილება ნიშნავს რესპუბლიკის პოლიტიკური ორგანიზაციის, მთელი პოლიტიკური ხისტემის შემდგომ განმტკიცებას, ოპტიმალურ პირობებს უქმნის თანამედროვე კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში ჩვენი პარტიის კურსის ეფექტიან განხორციელებას.

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲐᲡᲐᲪᲔᲥᲢᲘᲗ ეს დადგენილება ხელს უწყობს ყველაზე ხელსაყრელი პირობების შექმნას, რათა კიდევ უფრო ხრულყოთ მუშაობა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, რესპუბლიკის ეკონომიკის განმტკიცებისა და განვითარებისათვის, სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲡᲐᲪᲔᲥᲢᲘᲗ დადგენილება ხელს უწყობს მშრომელთა სოციალური კეთილდღეობისა და ფასეულობების შემდგომ გაძლავლებას, მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების ყველაზე ეფექტიან დაკმაყოფილებას, კონსტიტუციური უფლებების უფრო ეფექტიან რეალიზაციას.

დაბოლოს, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ-ᲔᲗᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲡᲐᲪᲔᲥᲢᲘᲗ ეს დადგენილება მაღალ შეფასებას აძლევს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობას საქართველოში ზნეობრივ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის, განსაზღვრავს მისი შემდგომი სრულყოფის გზებს.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილებას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის ორგანიზაციული განმტკიცებისა და იდეური ზრდისათვის.

ᲔᲠᲗᲘ წელი გავიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილების მიღებიდან, მაგრამ ჩვენ უკვე დღეს ვგრძნობთ კანონიერ სიამაყეს ყოველივე იმის გამო, რაც გავაკეთეთ, რასაც მივაღწიეთ, კვლავ ვიხსენებთ მის სტრიქონებს, რომლებმაც დიდი სიხარული, დიდი ამაყოფილება მოუგვარა ყოველ კომუნისტს, ყოველ პატიოსან მშრომელს.

„რესპუბლიკის მრეწველობა სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულ დონეზე გავიდა...“.

„სოფლის მშრომელებმა გაზარდეს პროდუქციის წარმოება მერვე ხუთწლედთან შედარებით...“.

„ამოქმედდა 72 სამრეწველო საწარმო“...

„უფრო აქტიურად წადდა კომუნალური მეურნეობის განვითარების, საბინაო პირობების გაუმჯობესების საკითხები...“.

„კიდევ უფრო განვითარდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურება“.

ვიხსენებთ იმიტომ, რომ ამ სტრიქონებმა, ამ დადგენილებამ დაგვანახვა ჩვენი ძალა, ჩვენი დიდი შესაძლებლობანი.

და დღეს, როცა საქართველოს კომუნისტები, მშრომელები ამ დადგენილებას მიმართავენ, მის სტრიქონებს უფიქრდებიან, იხილავ კვლავ ჩვენი რესპუბლიკისათვის ამ ეპოქაში ფასეულ დოკუმენტის შთამაგონებელი ზემოქმედებით შრომობენ და ახალ წარმატებებს აღწევენ ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა, მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში.

და ეს სავსებით კანონზომიერია, რადგან ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც მოიწონა, განაზოგადა და განამტკიცა თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებისათვის საქართველოს კომპარტიის მუშაობის პირველი შედეგები, თავისი ივნისის დადგენილებით მოგვცა ახალი იმპულსი, უდიდესი მორალური და მატერიალური სტიმული პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საანგარიშო მოხსენებაში მოცემული დებულებებისა და დასკვნების შესრულებაში გადამწყვეტი წარმატებების მიღწევისათვის.

ივნისის დადგენილებაში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას, ყველა მშრომელს დიდი და პასუხსაგები ამოცანები დაუსახა, რომელთა გადაწყვეტა დაგვეხმარება მივაღწიოთ ახალ მაღალ მაჯნებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე, წარმატებით შევასრულოთ სკკპ XXIV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის წინაწარდასახულობანი, მეათე ხუთწლედის დავალებანი.

ივნისის დადგენილების მიღების შემდეგ განვლილი წელი აღსავსე იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დიდი და მრავალმხრივი მუშაობით ამ დადგენილების შესრულებისათვის, რესპუბლიკის ცხოვრების ყველა მხარისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფისათვის. ცენტრალური კომიტეტი იღვწოდა კიდევ უფრო ემოძლებინა ყველა პარტიული ორგანიზაციისა და კომიტეტის აქტიურობა ეკონომიკური და სოციალური პარტიკის განხორციელებისათვის ბრძოლაში, ცდილობდა, რომ მათ გაეუმჯობესებინათ ჩვენი პარტიის არსენალში არსებული პოლიტიკური ხელმძღვანელობის ყველა მეთოდი, მახვილ დარწმუნების ფორმები და საშუალებები.

მეცნიერული მიდგომა, კოლექტიურობა, ვერგილიანობა, რომელიც გამორიცხავს პარადოლობასა და აურზაურს, სულ უფრო განსაზღვრავს ჩვენი პარტიული კომიტეტებისა და ორგანიზაციების მუშაობის ყოველდღიურ სტილს. ამასთან კომუნისტების ერთმანეთისადმი მომთხოვნელობისა და ამხანაგური დამოკიდებულების საქმიანი ატმოსფეროს შექმნაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კრიტიკისა და თვითკრიტიკის — მუშაობის გაუმჯობესების, ნაკლოვანებათა გამოვლენისა და აღმოფხვრის ნაცადი პარტიული საშუალების — განვითარება. ეს არის პარტიული ყრილობების დებულებების აზრი: კრიტიკის გაშლა და მისდამი სწორი დამოკიდებულება თითოეული ორგანიზაციის პოლიტიკური სიმწიფის ნიშანია.

ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ დადგენილებაში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ საქართველოს მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და ინტელიგენცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლი რაზმის — რესპუბლიკის კომპარტიის ხელმძღვანელობით მთელ თავიანთ შემოქმედებითს ენერგიას მოახმარენ კომუნისტურ მშენებლობაში ახალ წარმატებათა მოპოვებას, ღირსეულ წვლილს შეიტანენ საერთო-სახალხო ბრძოლაში სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

მეათე ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ შედეგებმა თვალნათლივ დაადასტურა, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს რწმენა სავსებით საფუძვლიანი იყო, რომ იგი გამომდინარეობდა ჩვენი რესპუბლიკის ივ რეალური გაზრდილი შესაძლებლობებიდან, რომ ძალა შესწევს წარმატებით შეუტიოს ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲛᲘᲯᲜᲔᲑᲐᲡ, რომ იგი ეყრდნობოდა ხალხის გაორკეცებულ ენერგიას, მზარდ შრომითს აქტიურობას, შემოქმედებითს ენთუზიაზმს, რომელთაც შვა პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში ჩვენი გმირობისა და მიღწევების სიდიადემ.

მეათე ხუთწლედის პირველმა წელმა კარგი კვალი დატოვა საქართველოს მიწა-წყალზე, მისი ისორმეტების გულში. საერთო-საკავშირო უულაბაში რესპუბლიკის მშრომელებმა შეიტანეს თითქმის 7 მილიარდი მანეთის სამრეწველო პროდუქცია — 358 მილიონით მეტი, ვიდრე 1975 წელს, წარმოების ზრდის ტემპმა რესპუბლიკის მრეწველობაში 5,6 პროცენტი შეადგინა გეგმით გათვალისწინებული 4,7 პროცენტის ნაცვლად. შესრულდა ჩაის ფოთლის, ხილის, ბოსტნეულის, ხორცის, რძის, კვერცხისა და მიწათმოქმედების და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების დამზადების დავალებები და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები.

ეკონომიკის ყველა სფეროში წარმოების ზრდის ტემპის გადიდება ძირითადად ხორციელდებოდა ინტენსიური ფაქტორების — წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

მაგალითად, მრეწველობაში ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებებით შარშან დაინერგა 3.680 ღონისძიება—333-ით მეტი, ვიდრე 1972 წელს. გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა ოცცხენ გაზარდა 6,9 ათასით, დაინერგა 10 ათასით მეტი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, ვიდრე 4 წლის წინათ.

ივნისის დადგენილებამ აღნიშნა, რომ ამაღლდა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის უურადღება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეკონომიკისა და კულტურის ზრდის საკითხებისადმი. ეს მუშაობა ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ყოველდმბრივი განვითარებისათვის კვლავაც გაგრძელდება, გაფართოვდება და გაღრმავდება რესპუბლიკაში მცხოვრები მოსახლეობის ეროვნული ჯგუფების პრობლემებისადმი უფრო დიფერენცირებული მიდგომის შესაბამისად.

კვლავინდებურად მწვავედ დგას რესპუბლიკის მთიანი და მაღალმთიანი რაიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრობლემა, თუმცა ბოლო წლების მანძილზე ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა, განსაკუთრებით კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურული მშენებლობის დარგში.

რესპუბლიკის დამკვრელური შრომა მეათე ხუთწლედის პირველ წელს, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ დადგენილების მიღების წელს ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲒᲙᲘᲠᲒᲘᲜᲓᲐ: რესპუბლიკას, ᲖᲝᲒᲘᲗᲘᲗᲘᲓ მეოთხედ მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

მაღალი ჯილდოები დაიმსახურეს ავტონომიურმა რესპუბლიკებმა და ოლქმა, ბევრმა ქალაქმა, რაიონმა, შრომითმა კოლექტივმა; მთავრობის ჯილდოები მიიღო 3.400-მდე. სოფლის მეურნეობის მოწინავემ, „1976 წლის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვების“ ნიშნით დაჯილდოდა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის 30 ათასზე მეტი მოწინავე.

სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ მეათე ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ�პᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲛᲐᲢᲔᲑᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲘᲧᲝ.

ამტომაც მეათე ხუთწლედის მეორე წლის პირველი დღეებიდანვე რესპუბლიკის მშრომელები ჩაებნენ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, მეათე ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის, ხელმძღვანელობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე და სსრ კავშირის პროფკავშირთა XVI ყრილობაზე ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებით, ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის შედეგებით, ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებით და შეუდგნენ ჩვენი სახელმწიფოს დიდი იუბილეს აღსანიშნავად ნაკისრ გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას.

მიმდინარე წლის ხუთი თვის მანძილზე მრეწველობის მთლიანი პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპმა 107,2 პროცენტი შეადგინა და გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1,7 პროცენტით გადიდდა, გეგმის გადამტებით წარმოებულია 82,5 მილიონი მანეთის პროდუქცია, რაც 15,4 მილიონი მანეთით მეტია, ვიდრე გასული წლის ხუთ თვეში იყო. 106-დან 18-მდე წარმოცრდა იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებმაც ვერ შეასრულეს მთლიანი პროდუქციის წარმოების დავალება, ხოლო 113-დან 28-მდე — იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებმაც ვერ შეასრულეს რეალიზაციის დავალება.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ).

საქართველო — სოციალისტური ვასტზე!

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ!

საქართველოს მრეწველობის მუშაკთა წარმატება

რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება საიუბილეო წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, ვადამდე, 25 ივნისისათვის გაანაღდეს უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციისა და წარმოების მოცულობის 1977 წლის იანვარ-ივნისის გეგმა.

გეგმის ვადამდე შესრულებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი: თბილისის „საქნავთობის“, „საქსამთოქმმრწვის“, „საქელექტრომანქანის“, „ელექტროაპარატის“, ჩარხსაშენებელი, „თბილისღვინოს“, საქართველოს არამადნეული წიაღისეულის სამრეწველო გაერთიანებების, ქარხანა „ელექტროიზოლიტის“, „ნარიყალისა“ და „სამოდელე ფეხსაცმლის“, № 2 და № 3 ტრიკოტაჟის, 1 მაისის სახელობისა და „ნადიკვრის“ სამკერვალო ფაბრიკების, ჩაის საწონი ფაბრიკის, ქუთაისის საავტომობილო, ლითოფონის ქარხნების, „გელათისა“ და კიროვის სახელობის სამკერვალო საწარმოო გაერთიანებების, ტყავფეხსაცმლის კომბინატის, ავეჯის ფაბრიკის, რუსთავის მეტალურგიული, ქიმიური ბოჭკოს ქარხნების, ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის, კიროვის სახელობის ტყავისა და სამკერვალო საწარმოო გაერთიანებების, სოხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატის, სოხუმის ხელსაწყოთსაშენებელი ქარხნის, ცხინვალის „ემალსადენის“ ქარხნის, აგრეთვე გორის ბამბეულის კომბინატის კოლექტივებმა. (საქინფორმი).

ᲖᲐᲰᲔᲡᲘ 50 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ

საბჭოთა ენერგეტიკის მეედროშე



ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც პირველი ელექტროენერგია მისცა სახალხო მეურნეობას ზემო ავჭალის ვ. ი. ლენინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა ჰიდროელექტროსადგურმა. ეს თარიღი დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის საიუბილეო წელიწადს აღინიშნება და კიდევ უფრო მეტ ენთუზიაზმს მატებს საბჭოთა ენერგეტიკის მედროშეს — ზაჰესის კოლექტივს.

ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა 1922 წლის 10 სექტემბერს დაიწყო დიდი მასობრივი შაბათობით, რომელშიც ს. ორჯონიკიძე მონაწილეობდა. მისი აგება ვ. ი. ლენინის მიერ დასახული სოციალისტური მშენებლობის პროგრამის მიხედვით განხორციელდა და მშენებლობის მიმდინარეობას დიდ ყურადღებას აქცევდა ვ. ი. ლენინი.

ზაჰესმა პირველი ელექტროენერგია 1927 წლის 3 აპრილს მიაწოდა საქართველოს დედაქალაქს, მაგრამ **ᲙᲘᲗᲮᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ 1927 ᲬᲚᲘᲡ 26 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ ᲨᲔᲓᲒᲐ.** ეს ზეიმი დიდ მოვლენად იქცა მთელი საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებაში, რადგან ზაჰესი მეორე დიდი ჰიდროელექტროსადგური იყო (ვოლოვოკესის შემდეგ), რომელიც ჩვენს ქვეყანაში აშენდა.

მაშინ საექსპლოატაციოდ გადაეცა ზაჰესის პირველი რიგი — 12.800 კილოვატი. საერთო სიმძლავრის ოთხი აგრეგატი. მეორე რიგის მშენებლობა 1930 წელს დაიწყო და 1938 წელს დამთავრდა. მწყობრში ჩადგა 25 ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრის კიდევ ორი აგრეგატი. ამრიგად, ზაჰესის მთლიანმა სიმძლავრემ 37.800 კილოვატი შეადგინა.

დიდია ზაჰესის წვლილი საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარებაში. იგი დღესაც შეუფერხებლად მუშაობს და ყოველწლიურად 200 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას აწვდის მოსახლეობელს.

ზაჰესის კოლექტივი დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგას და ელექტროენერგიის გამომუშავების ყოველდღიურ ნორმებს გადაჭარბებით ასრულებს. ენერგეტიკოსებმა ენთუზიაზმით განიხილეს და ერთსულოვნად მოიწონეს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი და ვალდებულება იკისრეს წლიურს გეგმის ჭადამიტებით 3 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია გამოიმუშაონ.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲨᲘ: ᲖᲐᲰᲔᲡᲘ ᲓᲦᲔᲡ; ᲓᲘᲓᲘ ᲑᲔᲚᲐᲓᲘᲡ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲫᲔᲚᲘ ᲖᲐᲰᲔᲡᲨᲘ.

ᲕᲚ. ᲒᲘᲜᲖᲑᲣᲠᲒᲘᲡ ფოტო.



25 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

„პრავდის“ ფურცლებზე

ᲪᲜᲝᲑᲐᲡ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შედეგების შესახებ, რომელსაც „პრავდა“ აქვეყნებს, უკვე გაეცნენ ჩვენი მკითხველები.

გრძელდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევის გამო მის სახელზე მოსული მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის მისასალმებელი დეპეშების ბეჭდვა.

პარტიული ცხოვრების განყოფილება წარმოდგენილია ორგბიურგელი ინეინრის ა. პეგოვის წერილით „ერთი ყლუპი ინფორმაციის ზღვიდან“. მოწინავე გამოცდილება ასევე მარტო ამა თუ იმ კოლექტივის, არამედ მთლიანად დარგის, მთელი ქვეყნის კუთვნილებაა. მის პრაქტიკიდან, კერძოდ, ეწევიან საინფორმაციო ორგანები.

მოწინავე გამოცდილება სოციალისტური შეჯიბრების ფორთებია, შრომითი მეტოქეობის მაცოცხლებელი ენერგიაა. ჩემი აზრით, მოწინავე გამოცდილების გამოყენების უნარიანი სტიმულირება შეჯიბრებას კიდევ უფრო მეტ სიღრმეზე და ქმედითობას შეხმენდა, — წერს ავტორი.

განყოფილებაში „შეჯიბრების დღიური“ დაბეჭდილია თბილისიდან მიღებული კორესპონდენცია, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოს ლაგოდეხის რაიონის მეურნეობებმა დაიწყეს პამიდორის კრეფა. აქ ჩინებული მოსავალი მოიწიეს. მებოსტნეებს გადაწყვეტილი აქვთ დაამზადონ ორი ათასზე მეტი ტონა ნაყოფი, რაც გეგმას ხაგრძნობლად სჭარბობს. ცხარე დღეებია რესპუბლიკის სხვა რაიონებშიც: იღებენ კიტრს, კომბოსტოს, სტაფილოს, ხუფრის მწვანილის მოსავალს. დიდძალი ბოსტნეული გაიგზავნა მოსკოვში, ლენინგრადში, ქვეყნის სხვა სამრეწველო ცენტრებში. მიწათმოქმედნი ერთმანეთს ეჯიბრებიან ბოსტნეულის უდიდესი მოსავლის — 275 ათასი ტონა პროდუქციის მისაღებად.

ბევრი საინტერესო მოსახრებაა გამოთქმული, წერილადებაა დაყენებული მასალებში, რომლებსაც გაზეთი „სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის განხილვისადმი მიძღვნილ გვერდში ბეჭდავს („ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი“).

დამთავრდა ბალეტის მსახიობთა III საერთაშორისო კონკურსი, რომელშიც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა.

კონკურსის შედეგების შესახებ „პრავდის“ კორესპონდენტი ესაუბრა სსრ კავშირის სახალხო არტისტს ო. ლეპეშინსკაიას. საუბარი დაბეჭდილია გაზეთის მეექვსე გვერდზე — „ტალანტთა თანავარსკვლავედი“.

გაზეთში დაბეჭდილია აგრეთვე მრავალფეროვანი საკავშირო, უცხოეთის და სპორტული ინფორმაცია.

PRAVDA

მილნეულის განმეჭიცების გზით — ახალი გამარჯვებებისაკენ

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილების წლისთავის გამო

(დასასრული)

დაჩქარდა სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის ტემპი. მაგალითად, სასკოლო მშენებლობაში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა პროგრამა შესრულდა 124 პროცენტით, ანუ 3,2 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში, ხოლო საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების მშენებლობის დარგში ეს მაჩვენებელი შარშანდელ დონეს 13 პროცენტით აღემატება. სიბავშვო სკოლამდელი დაწესებულების დარგში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა 1,5-ჯერ გაიზარდა, პროფტექნიკური განათლების ობიექტების მშენებლობის დარგში — ორჯერ.

შარშან ამ უკანასკნელი 15 წლის მანძილზე პირველად შესრულდა გადაკარებით საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით საექსპლუატაციოდ გადაცემის წლიური გეგმები, კერძოდ, საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა — 102 პროცენტით.

რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკთა წინაშე ახლა დიდი და პასუხსაგები ამოცანები დგას: შეასრულონ წლიური გეგმა 25 დეკემბრისათვის, გამოუშვან 150 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, ათთვისონ 330 ახალი სახეობის პროდუქციის წარმოება; უნდა აწარმოონ 1976 წელთან შედარებით 30 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების და სპორტინვენტარი; ამოცანად რჩება სახალხო მეურნეობის იმ დარგების ხელმძღვანელობის გაძლიერება და სრულყოფა, რომლებიც დაკავშირებულია ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამოცანების ამოცანების განხორციელებასთან. აი რატომ არის, რომ სოფლის მეურნეობის პრობლემები, რომლებზეც გადამწყვეტად არის დამოკიდებული ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ფაფუჩობესება, აგრეთვე კვებისა და მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის გაზრდა, ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთელი პარტიული ორგანიზაციის ძირითად საზრუნავად რჩება.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად, მაგალითად, შარშან წარმოებული იყო 146 ათასი ტონით მეტი ბოსტნეული და 50 ათასი ტონით მეტი კარტოფილი, ვიდრე 1972 წელს, შესაბამისად გაიზარდა მოსახლეობაში ამ პროდუქციის რეალიზაციაც.

მიმდინარე წლის ხუთ თვეში რძის სახელმწიფო შესყიდვა, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, გაიზარდა 12 პროცენტით, კვერცხისა — 4 პროცენტით, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის ერთ-ნახევარჯერ მეტია მოკრეფილი.

შრომელთა ინტერესებისათვის რესპუბლიკაში დიდი და გულმოდგინე მუშაობა წარმოებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეშეფობთ მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქტების, კერძოდ მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვის ახალი სისტემის დასანერგად.

ხოფლის შრომელთა მაღალი შრომითი ენთუზიაზმი რწმენას გვინერგავს, რომ ისინი პირნათლად შეასრულებენ საიუბილეო წლის ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს — სახელმწიფოს მიჰყიდიან 150 ათას ტონა მარცვლეულს, 460 ათას ტონა ყურძენს, 245 ათას ტონა ხილს, 360 ათას ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს, 120 ათას ტონა ციტრუსს, 140 ათას ტონა ხორცს ცოცხალი წონაო, 247 ათას ტონა რძეს, 360 მილიონ კვერცხსა და ბევრ სხვა პროდუქციას.

ამ მიჯნების მისაღწევად საჭიროა მთელი ძალების დარაზმვა, მაღალი ორგანიზებულობა, ყველა არსებული შესაძლებლობის გამოყენება.

უკანასკნელი წლები ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლებით აღინიშნა. მაგალითად, ამა იზრდებოდა საშუალო-თვიური ხელფასი მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში.

მრეწველობაში მან შეადგინა: 1972 წელს 126,1 მანეთი; 1973 წელს — 130,5; 1974 წელს — 135; 1975 წელს — 139,9 და 1976 წელს — 153,6 მანეთი.

სოფლის მეურნეობაში შესაბამისად: 71 მანეთი; 75,7; 79; 79,2 და 90,1 მანეთი.

ამ წელს გამართულმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმმა სერიოზული ნაკლოვანებანი გამოაჟღინა ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში, შეიმუშავა სახალხო მეურნეობის ამ დარგების მუშაობის გაუმჯობესების და ამის საფუძველზე მშრომელთა კეთილდღეობის დონის შემდგომი ამაღლების კონკრეტული პროგრამა.

ყველგან ფართოდდება და ეზმარიტად საყოველთაო-სახალხო ხასიათ მოძრაობა რუსთაველ მეტალურგთა ინიციატივის მხარდასაჭერად, რომლებმაც მშრომელებს მოუწოდეს: „არც ერთი ჩამორჩენილი და ოდისციპლინო ჩვენ გვერდით!“.

ეს. დიდმნიშვნელოვანი ინიციატივა სავსებით კანონზომიერია, იგი გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებიდან „განვამტკიცოთ სახელმწიფო დისციპლინა, აღვზარდოთ კადრები ყველა უბანზე, ყველა კოლექტივის მიერ და ყველა მაჩვენებლის მიხედვით სახალხო-სამეურნეო გეგმების განუხრელი შესრულების სულისკვეთებით“.

რუსთაველთა თაოსნობის ლოგიკური და უშუალო გაგრძელება იყო პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტისა და თბილისის პირველი მაისის რაიკომის ინიციატივა — უზრუნველვყოთ საიუბილეო წელს ბუშაობა უჩამორჩენლებოდ, ყველა სამრეწველო საწარმოში შეთანხმებული და რიგმული მუშაობით მივაღწიოთ მთელი წლის განმავლობაში თითოეული საწარმოს საგეგმო დავალებათა ყოველთვიურ გადაჭარბებას.

დისციპლინა — პარტიული, სახელმწიფო, საგეგმო, საწარმოო და საგაერთიანო დისციპლინა — ეს ეზრნირეს ყოველთა არის ეზსრიგი ყველგან და ყველაფერში. და სადაც ეზსრიგია, იქ ფართო საბიელია დიდნაყოფიერი შრომისათვის, შემოქმედებისათვის, ნებისმიერ, დიდსა თუ პატარა საქმეში, უმაღლესი შედეგების მიღწევისათვის. იქ არ ეხვდებით ბიუროკრატიზმს, კანცელარიულ ფორმალიზმს, დროგამოყმულ ტრადიციებსა და ავანს ეზსრეულებებს.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის სისტემატური ბრძოლა საგრძნობ ნაყოფს იძლევა. მაგალითად, მრეწველობაში მუშახელის დენადობა 1972 წლიდან შემცირდა 27,1 პროცენტით, ხოლო სამუშაო დროის დანაკარგები — 29 პროცენტით.

3. ი. ლენინის მიერ შემუშავებული პარტიული ცხოვრების ნორმები და პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპები სულ უფრო მტკიცედ მკვიდრდება საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ახსოვს ვ. ი. ლენინის მითითება, რომ მუშაობაში მთავარია კადრების სწორი შერჩევა, განაწილება და აღზრდა, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება, და ივნისის დადგენილების მიღებას შემდეგ განვლილ დროში განაგრძობდა დიდ მრავალმხრივ მუშაობას ბეშეარეტად ლენინური საკადრო პოლიტიკის განხორციელებისათვის. რომელიც, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვით რომ ვთქვათ, „მძლავრი ბერკეტია, რომლის საშუალებითაც პარტია ზემოქმედებას ახდენს, საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობაზე“.

კადრების შერჩევისას საქართველოს კომპარტია ხელმძღვანელობდა და კვლავაც იხელმძღვანელებს მუშაკთა პოლიტიკური და საქმიანი თვისებებით, ხელმძღვანელის იდეური მრწამსის, კომუნისტური სიმტკიცის შეფასების ლენინური პრინციპებით. იგი კვლავინდებურად გაითვალისწინებს, რომ პოლიტიკური თვისებების გარდა საჭიროა საქმიანი თვისებებიც, სპეციალური ცოდნა, ჩვევა, ნიჭი, ოსტატობა.

პრაქტიკაში ამ პრინციპების განხორციელების შედეგად იზრდება პოლიტიკური და უმაღლესი სპეციალური განათლების მქონე ხელმძღვანელი მუშაკების — ინჟინრების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, ეკონომისტების, იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებსაც უნარი შესწევთ სათავეში ჩაუდგნენ მათთვის მინდობილ პასუხსაგებ უბნებს.

ახლა ხელმძღვანელ თანამდებობებზე ვაწინაურებთ მეტ მუშასა და კოლმეურნეს, ქალებს, განსაკუთრებით ვაკრობისა და საზოგადოებრივი კვების სისტემაში, მომსახურების სფეროში.

უმჯობესდება პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო მუშაკების მომზადებისა და გადამზადების სისტემა, რომელიც ეხმარება მათ უფრო წარმატებით დაეუფლონ თეორიას, პრაქტიკულად გამოიყენონ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, მოწინავე გამოცდილება, გაუმჯობესონ წარმოებისა და მართვის ორგანიზაცია. მარტო გასულილი წლის მანძილზე 1.000-მდე პარტიულმა და საბჭოთა მუშაკმა, მათ შორის მრეწველობის საწარმოებისა და მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების პარტიულ ორგანიზაციათა გაუნთავისუფლებულმა მდივნებმა გადამზადება გაიარეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ კურსებზე. შესამჩნევად გამოცოცხლდა მუშაობა პარტიის რაიონულ და საქალაქო კომიტეტებთან არსებულ პარტიული, სამეურნეო და საბჭოთა აქტივის სკოლებში. ორგანიზებულია სხვადასხვა კატეგორიის იდეოლოგიური კადრების დიფერენცირებული მომზადება.

მაგრამ კადრების მომზადების სისტემის ყველა რგოლი არ მუშაობს ეფექტიანად, ყველა კატეგორიის მუშაკები არ არიან ჩაბმული სწავლაში. ეს განსაკუთრებით ეხება საშუალო რგოლის მუშაკებს. საბირომ, რომ კადრების ეს ყველა სახეობის მომზადება და გადამზადება ხელს უწყობდეს კადრების კომპეტენტურობის დონის და განსაკუთრებით გერგილიანობის ამაღლებას, აიარაღებდეს მათ ცოდნით, წარმოების ეფექტიანობის გადიდებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების სხვადასხვა ამოცანის გადაწყვეტის თანამედროვე საშუალებებითა და მეთოდებით.

რესპუბლიკაში იქმნება კადრებთან მუშაობის მწყობრი სისტემა, რომლის დამახასიათებელი ნიშანია კოლეგიურობის, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების პრინციპების დამკვიდრება, რომელიც შეხამებულია მაღალ მომთხოვნელობასა და პერსონალურ პასუხისმგებლობასთან.

ამ სისტემის სრულყოფისათვის მუშაობა კვლავაც გაგრძელდება, რადგან თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ დადგენილების მიღებამდე რესპუბლიკაში ფეხმოკიდებული ნეგატიური მოვლენები კადრების შერჩევასა და განაწილებაში ზოგან დღესაც იჩენს თავს, და ამის წინააღმდეგ გაგრძელდება ყველაზე გადამწყვეტი და უკომპრომისო ბრძოლა.

